

გენდერულ ჟურნალისტთა საერთაშორისო კოალიცია

# კ @ ვკ ა ზია

საერთაშორისო  
საინფორმაციო-ანალიტიკური  
ელექტრონული ჟურნალი  
გამოცემის წელი – მეოთხე  
2008, №3, მარტი

მარტი:

## ქალების დღე



## მამაკაცების წელიწადში

რვა მარტი – შებრუნებული დღესასწაულია. ერთ დროს ბრძოლის და სოლიდარობის დღედ ჩაფიქრებული, ქალთა (თურმე) სისუსტის, განსაკუთრებულობის, დამოკიდებულების და პასიურობის დღესასწაულად გადაიქცა. ცხოვრება ყოველ საჭირო მომენტში გვიმტკიცებს ქალის ძალას, სიძლიერეს და ძალაუფლებას; ქალის სიბრძნეს, მის შესაძლებლობას გადალახოს სიბნელები და იცუროს დინების საწინააღმდეგოდ,

აყვეს ტალღებს და შეინარჩუნოს წონასწორობა, და მაღწიოს, გაიმარჯვოს და აძლდეს ყოველგვარი დაბრკოლების, ზეწოლისა და დამცირების მოუხედავად. და მინც: ყოველ წელს რვა მარტს ჩვენ დემონსტრაციულად გვჩუქნიან ყვირილებს, მეგობრულად გამოსატავენ ალტაცებას ჩვენი ქალურობითა და სვამენ „სუსტი სქესის“ „მშენიერი სათნო ქალბატონების“ სადღეგრძელოს. ჩვენ კი, სულში დაფარული, ჩუმი პროტესტის გრძნობით,

ვღებულობთ თაიგულებს, მადლობას ვუხდით, ვილიბებით და რაღაცას ვპასუხობთ, მოკრძალებით ვასწენებთ რა საკუთარი სქესის „არასისუსტეს“. იქნებ ავმდგარიყვით ყველა ერთად და ევექტურად გავეცხასუნებინა კარი. მაშინ, იქნებ, 8 მარტის დღესასწაული გადმო-ბრუნებულიყო და გამართულად დამდგარიყო ფეხზე.

ვოლტო ალექსანდრე კლიმჩუკისა

# აქცია: **იყავი აქტიური!**

იარე წინ!  
იმოქმედე!  
აიშენე საკუთარი ცხოვრება!  
გაიკეთე კარიერა!  
შეეწინააღმდეგე!

## სწორედ ეს ნიშნავს - იყო აქტიური



ფოტო ალექსანდრე კლიმჩუკისა

რაც შეეხება ყვაილებს, იყოს ყვაილები. არაფერი გვაქვს სილამაზისა და გაზაფხულის საწინააღმდეგო. თუმცა, აქცია იყო მცდელობა, დაგვებრუნებინა დღესასწაული საწყის მდგომარეობაში - გადმოგვებრუნებინა და ფეხზე დაგვეყენებინა. საქართველოს ქალთა არასამთვრობო ორგანიზაციების კოალიციამ ეს აქცია ჩაიფიქრა, როგორც ქალთა გააქტიურების ახალი კამპანიის დასაწყისი. საერთოდ კი, გადაწყვეტილებათა მიღების დონეზე ქალთა რიცხვის გაზრდის კურსი კოალიციამ პირველივე ნაბიჯებიდან აიღო, 2000 წელს. ახლანდელი აქცია მოუწოდებდა: „იყავი აქტიური! ირწმუნე საკუთარი თავის, საკუთარი ძალებისა და

გონების!“ მისი მოწოდებები განსაკუთრებით აქტუალურია საპარლამენტო არჩევნების წინ, რომელიც სულ მალე ჩატარდება. ყველა ქალს: ამომრჩეველებს, პარტიულ აქტივისტებსა და კანდიდატებს – კოალიცია მოუწოდებდა ურთიერთთანადგომისაკენ, კონსოლიდაციისა და სოლიდარობისაკენ. ზუსტად დღის 4 საათზე აქცია დაიწყო საქართველოს ყველა რეგიონში; თბილისში იგი მიმდინარეობდა მეტროს ყველა სადგურთან, აქტიურობის ეპიცენტრს მეტროს სადგური „რუსთაველი“ წარმოადგენდა. ჩვენ ქალებს ვურიგებდით გაზაფხულის ყვაილებს, ბუკლეტებსა და ზეპირ სურვილებს.

# აქცია: იყავი აქტიური!

ღიას!

ჩვენ მეტნი უნდა ვიყოთ –

**იქ, სადაც გადაწყვეტილებები მიიღება**



ფოტო ღიასა პეტრიაშვილისა

ქალები ჩვენს სიმბოლურ ძღვენს არა მარტო სიამოვნებით, ყურადღებითაც იღებდნენ. ისინი გვისვამდნენ შეკითხვებს, აზუსტებდნენ, გამოთქვამდნენ აზრს, გვეწინააღმდეგებოდნენ და გვეთანხმებოდნენ.

ყველაზე ყურადსაღები ჩვენთვის აღმოჩნდა ის, რომ ქალების უმრავლესობას, ვისაც ჩვენ გავესაუბრეთ, ოდნავი ეჭვიც კი არ გამოუთქვამს იმის შესახებ, რომ მეტნი უნდა ვიყოთ.

ყველგან, სადაც ყველასათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღება..

# აქცია: **იყავი აქტიური!**

შენ უკვე ღამტკიცე შენი შემძლეობა,  
მუშაობით,  
შიმშილისაგან ბავშვების გადარჩენით,  
საყოფაცხოვრებო პრობლემებთან ბრძოლით –  
**იყავი უფრო გამბედავი!**



ფოტო დიანა პეტრიაშვილისა

ეს ქალი – ყვავილების გამყიდველია. ჩვენგან მიღებული თაიგულის საპასუხოდ თავადაც სურდა ჩვენთვის თავისი ტიტა ერუქებინა. ჩვენ მტკიცედ ვიუარეთ საჩუქარი. ეს ყვავილები – მისი ლუკმაპურია, მისი შემოსავალი.

# აქცია: **იყავი აქტიური!**

ისწავლე!  
გაიკეთე კარიერა!  
შეეჯიბრე და გაიმარჯვე!

**და რაც მთავარია – გჯეროდეს საკუთარი თავის**



ფოტო დიანა პეტრიაშვილისა

ახალგაზრდა ქალები ხშირად ორმაგი წნეხის ქვეშ აღმოჩნდებიან ხოლმე: მათ ჩაგრავენ, ჯერ ერთი იმიტომ, რომ „მეტისმეტად“ ახალგაზრდები არიან, მეორეც, რომ „მეტისმეტად“ ქალები არიან. ან პირიქით. იყავი აქტიური! – ვუთხარით მათ 8 მარტს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ახალგაზრდა ხარ, მეორეც იმიტომ, რომ – ქალი ხარ. ან პირიქით.

აქცია:

# იყავი აქტიური!

და რაც მთავარია – გჯეროდეს საკუთარი თავის...

ამ რწმენისა და ღირსების გრძნობის განმტკიცება – მომავალი ჰარმონიის საფუძველია



ფოტო ალექსანდრე კლიმჩუკისა

იქნებ ყველაზე ახალგაზრდებს გაუმართლოთ? იქნებ, უფრო სამართლიან საზოგადოებაში იცხოვრონ? მაგრამ საქმე გამართლებაში როდია. იგი იმაშია, როგორ მოიქცევიან მათი დედები, ბებიები და უფროსი დები. ძველებურად შეებმებიან ორმაგ უღელში – სამსახურშიც, სახლშიც – და დაკმაყოფილებიან მეორეხარისხოვანი როლებით, როცა საუბარი მმართველობას ეხება? თუ ეცდებიან მასში მონაწილეობა მიიღონ?

# აქცია: **იყავი აქტიური!**

საით წავიდე?  
სად შევიძინო გამოცდილება?  
ვისთან გავერთიანდე?

## **როგორ გავხდე უფრო აქტიური?**



ფოტო დიანა პეტრიაშვილისა

ყვავილებს, გაზაფხულსა და აქციის სიმსუბუქეს არ შეუშლია ხელი, სულ რაღაც ერთი საათის მანძილზე ბევრი რამ ეთქვათ ჩვენთვის. ერთმა თქვა:  
– ისედაც აქტიური ვარ! დიდიდან სადამომდე ვაქტიურობ – ჯერ სახლში, მერე სამსახურში. აქაც და იქაც ყველაფერი ჩემს კისერზეა.

მეორემ თქვა:  
– როგორ ვიბრძოლო? საით წავიდე? უკვე ამის ყურების ძალა აღარ შემრჩა! მასწავლე – რა გავაკეთო?

მესამემ იკითხა:  
– დახმარება ხომ არ გჭირდებათ? ბეჭდვაც შემიძლია, სატვაც, თქვენთან ერთად აქციების ჩატარებაც.

საერთო გზავნილი: მე - აქტიური ვარ ჩემს პატარა ტერიტორიაზე.  
როგორ გავაფართოვო იგი?  
საით წავიდე?  
სად შევიძინო გამოცდილება?  
ვისთან გავერთიანდე?  
როგორ გავხდე უფრო აქტიური?

# აქცია: იყავი აქტიური!

„მინდა,  
ქალებს შეეძლოთ „უბიძგონ“ თავის იდეებს!“



ფოტო პოლინა მილოდადოვიჩისა

ახალგაზრდა მონაღისე ვაჟს, რომელიც მეტრო „რუსთაველთან“ აქციის ჩატარებაში გვეხმარებოდა, საშა ერქვა. თავად ასე გაგვეცნო. აი, ბანერის დადგმაში გვეხმარება. ვკითხეთ: „საშა, ახლა ჟურნალისტები მოვლენ და რომ ვკითხონ, ჩვენთან რა გინდა, რას ეტყვი?“ ჯერ შეიშმუნა, მერე კი გვიამბო, რომ დედამისი მართო ზრდის ორ ვაჟს – საშასა და მის ძმას. მამა რამდენიმე წლის წინ დაელუპათ და ოჯახს ძალიან გაუჭირდა. და საშა ამბობს: „დედაჩემმა გადაწყვიტა, ძლიერი ყოფილიყო. სხვაგვარად ის მე და ჩემს ძმას ფეხზე ვერ დაგვაყენებდა. იგი ბევრს მუშაობს. აქვს იდეები, როგორ დაეხმაროს თავისნაირებს. მინდა, ისეთ ქალებს, როგორიც დედაა, შეეძლოთ „უბიძგონ“ საკუთარ იდეებს და რომ მათ მოუსმინონ“.

# აქცია: იყავი აქტიური!

ეძიე თანამებრძოლები,  
აშენე კოალიციები,  
იყავი სოლიდარული!



ფოტო დიანა პეტრიაშვილისა

საინტერესო საცქერია, როგორ იცვლება ზოგჯერ ჩვეული სურათი. დისკრიმინაციის ძველთაძველი სტერეოტიპული „სუბიექტი“ უცებ - მის ობიექტად იქცევა. უნებურად. საკმარისია ერთი უნებლიე მოძრაობა. ეს მამაკაცი მოხალისე ანასთან მივიდა, რომელიც აქციაზე ყვავილებს არიგებდა და მორიდებით სთხოვა თაიგული. გოგონამ მხრები აიჩეჩა- ყვავილები, საერთოდ, ქალებისთვის იყო განკუთვნილი. მამაკაცები არ გაუთვალისწინებიათ. მამაკაცმა გაცვეთილი სამხედრო ფორმით კიდევ ერთხელ სთხოვა მორიდებით. ბოლოს თაიგულიც მიიღო, რომელიც მოკრძალებით მიიტანა სახესთან (და ვინ თქვა, რომ ეს ქალური შესტია?). ამ დროს მამაკაცს ფოტორეპორტიორი მიუახლოვდა. გულგრილად აათვალ-

ჩათვალიერა პროფესიულ-შემფასებლური მხერით და მიუგო:  
- გაიწიე, ბიძაჩემო.  
მამაკაცმა მხრები შეარხია და ოღონა გაიწია, იფიქრა, კადრში ასე უფრო კარგად გამოვჩნდებიო.  
- გაიწიეთ-მეთქი, ხომ გითხარით, მეფარებით! - ვერ მოთმინა ფოტოგრაფმა.  
მამაკაცი სწრაფად და მოჩვენებითი გულგრილობით გაგვმორდა. თითქოს გვიჩვენა, რომ არაფერი მსგავსი არ უფიქრია. არასწორად გამიგეთო. მორჩა, მორჩა, უკვე მივდივარ. თუმცა, აქციაში მონაწილეობა აშკარად უნდოდა.  
ახლა მთელი ვგუფი ვნანობთ - რა მოხდებოდა, მიგველო მისი უანგარო დახმარება?

# აქცია: **იყავი აქტიური!**

ამომრჩევლებო,  
პარტიულ აქტივისტებო  
და მომავლო კანდიდატებო!

მნიშვნელოვანია გაიგოთ, რომ  
**ჩვენი კონსოლიდაცია ღღუს -  
ეს მართვის ჰუმანიზაციაა ხვალ**



ფოტო გოგი ცაგარელისა

ჩვენი აქციის ზონაში ერთ-ერთი პარტიის აქტივისტების ჯგუფი განთავსდა. მათ მოხალისეებს მოვალეობები ასე ჰქონდათ გადანაწილებული: გოგონები რაღაცას გულმოდგინედ წერდნენ, ბიჭები კი „საერთო ხელმძღვანელობას“ ახორციელებდნენ. ჩვენ ყვავილები მივართვით ახალგაზრდა პარტიულ ქალბატონებს და მოვუწოდეთ უფრო ამბიციურები ყოფილიყვნენ საკუთარი პარტიის შიგნით, აეწყოთ საკუთარი პარტიული კარიერა და არა მარტო დახმარებოდნენ სხვას.

ისე ჩანდა, გოგონებს ეს იდეა მოეწონათ

აქცია:

# იყავი აქტიური!

უკვე გაქვს სათქმელი -  
არა მარტო შინ,  
არამედ შენს ქვეყანაშიც

## ისაუბრე და იმოქმედე



ფოტო დიანა პეტრიაშვილისა

ასეთმა უბრალო და სადა აქციამ უზარმაზარი იმპულსი მოგვცა ჩვენ თვითონ.

სიამაყე ჩვენი ქალების - გახსნილების, ძლიერების, თავშეკავებულების, თავისი როლის კარგად შემცნობების - გამო.

ქალის ძალის რწმენა.

გადაწყვეტილება, იმუშაო ამ ენერგიით, ამ გამაერთიანებელი ემოციებითა და დუმილის წლებში დაგროვილი ცხოვრების ცოდნით.

რწმენა იმისა, რომ ყველაფერი გამოვა. თუ ჩვენ სოლიდარულები და მტკიცეები ვიქნებით.

აქცია:

# იყავი აქტიური!

**შენ დაამტკიცე შენი შესაძლებლობები - მუშაობით, შიმშილისაგან ბავშვების გადარჩენით, საყოფაცხოვრებო პრობლემებთან ბრძოლით, უკვე გაქვს სათქმელი - არა მარტო შინ, არამედ შენს ქვეყანაშიც, მიმოიხედე - შენ ბევრი რამის გაკეთება და გადაწყვეტა შეგიძლია, გჯეროდეს საკუთარი თავის, საკუთარი ძალებისა და გონების**

**იყავი უფრო გამბედავი**

**იყავი უფრო აქტიური**

**იყავი მტკიცე შენს უფლებაში მართო საკუთარი ქვეყანა!**



აქციის მონაწილე ყველა ქალის სახელით:

დიანა პეტრიაშვილი,	მედეა ანთია,
როზა კუნალაშვილი,	როენა ჭანტურია,
მანანა მებუკე,	გალინა პეტრიაშვილი -
დარეჯან ოდილავაძე,	და კიდევ 30-მდე ორგანიზატორი ქალი ქალთა
ნინო ვახანია,	არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციიდან
თეა რუსია,	და ასობით აქციის მონაწილე მთელ
თამარ ბალავაძე,	საქართველოში.
მანანა თოდუა,	

**რედაქტორები:**

გალინა პეტრიაშვილი (მთავარი რედაქტორი), საქართველო  
(+99599 90 11 24, [galapet@ip.osgf.ge](mailto:galapet@ip.osgf.ge))  
ციცინო ჯულუხიძე (ქართული ვერსიის რედაქტორი), საქართველო  
(+99599 92 32 67, [cicoju@rambler.ru](mailto:cicoju@rambler.ru))  
დიანა პეტრიაშვილი (ინგლისური ვერსიის რედაქტორი), საქართველო  
(+99599 76 26 21, [dianapetriashvili@yahoo.com](mailto:dianapetriashvili@yahoo.com))

**ნომერზე მუშაობდნენ:**

დიანა პეტრიაშვილი, საქართველო  
როზა კუსალაშვილი, საქართველო

**ფოტო:**

გოგი ცაგარელი, საქართველო  
დიანა პეტრიაშვილი, საქართველო  
საშა კლიმჩუკი, საქართველო  
პოლინა მილორადოვიჩი

**დიზაინი და დაკაბადონება:**

ასოციაცია „გენდერმედიაკავკასიას“ (საქართველო)  
დიზაინ-ჯგუფი

**თარგმნა:**

ციცინო ჯულუხიძე

ჟურნალ „კავკასიას“ ქართული ვერსია გამოდის  
ასოციაცია „გენდერმედიაკავკასიას“ საკუთარი რესურსებით

საერთაშორისო კოალიცია  
**კავკასია**

რედაქცია არ არის წინააღმდეგი ჟურნალის გავრცელებისა ან ცალკეული ტექსტებისა და ილუსტრაციების გამოყენებისა – მხოლოდ გამოცემისა და ავტორის აუცილებელი მითითების პირობით



ჟურნალისტთა ასოციაცია

**გენდერმედიაკავკასია**

[www.gmc.ge](http://www.gmc.ge)

საქართველო, 0103, თბილისი, იორის ქ.№17  
ტელ./ფაქსი (995 32) 27 70 33; (995 99) 90 11 24